MES 3 20 0000758817

01/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:00
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრიგეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანაკევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინოდობორჯგინიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **გურანდაჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
6. **ეკაეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგითურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **პაატა ბრეკაშვილი -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ნიკოლოზ კიკნაძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

10. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მაკო ჯაოშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	ვიცე-რექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	ნინო არჯევანიძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	I
3	გიორგი ჭანტურია	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კანცლერი	I
4	ნათია გოგებაშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	საერთაშორისო ურთიერთობების კორდინატორი	II
5	სოფო ვასაძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის	სამეცნიერო კვლევების კორდინატორი	I

		საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“		
6	თეა ლორთქიფანიძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კანცელარიის ხელმძღვანელი	I
7	კახაბერ კორძაია	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	II
8	ვახტანგ წივწივაძე	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კანცლერი	II
9	მარინა გედევანიშვილი	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
10	ლელა წიტაიშვილი	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თორნიკე გურული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ეკატერინე ბეშკენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ელენე ხურციძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომისთავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა .

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ **კი**

შუამდგომლობის ინიციატორი სხდომის თავმჯდომარე, დიმიტრი გეგენავა.
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის პირველადი განხივნა გაიმართა 2020 წლის 07 აგვისტოს. აღნიშნულ სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რიც გამოც საჭირო გახდა დაწესებულებას წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტაცია. აღწერილი გარემოების გათვალისწინებით საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სხდომა დაეწყოთ აღნიშნული საკითხის განხილვით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა .
2 შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3 სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაციები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი Master in Public Relations

8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N67
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი 2020 წლის 3 ივნისს გაიმართა. ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარეს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან პერსონალური და ონლაინ შეხვედრები. პანდემიის გამო ცალკეული შეხვედრები ჩატარდა ზუმის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის გარდა განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და ანალიზი. სასწავლო დაწესებულების მხრიდან ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა შეფასების პროცესი სრულყოფილად წარმართულიყო. საბჭოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად ექპერტთა ჯგუფის ხელმღვანელმა ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა ახლად აშენებულია. უნივერსიტეტს აქვს ყველა საჭირო მიმართულებისთვის გათვლილი სივრცე: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კაფეტერია, სივრცე კონფერენციებისათვის, კომპიუტერებისათვის გამოყოფილი ოთახი, სტუდიისთვის გამოყოფილი ოთახი, ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები სტუდენტებისათვის და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოფისები. უნივერსიტეტს ასევე აქვს რამდენიმე სასწავლო აუდიტორია. აუდიტორიები უზრუნველყოფილია შესაბამისი სკამებით და მაგიდებით. ცალკეულ აუდიტორიებში განთავსებული იყო პროექტორები. ყველა სასწავლო აუდიტორიას ჰქონდა დღის განათება.
რაც შეეხება ბიბლიოთეკას, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ საბიბლიოთეკო რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, თუმცა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დაწესებულებამ მუდმივად უნდა განაახლოს არსებული ლიტერატურა. ასევე, დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ისეთი საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, როგორებიცაა: Cambridge Journals Online; e-Duke Journals Scholarly Collection; IMechE Journals Openedition Journals; Royal Society Journals; SAGE Journals; SAGE APCs for open access journals. ასევე სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგს, რომელშიც ინტეგრირებულია მონაცემები, როგორც სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსიების, ისე მატერიალურად არსებული წიგნების ფონდის შესახებ, ასევე ბიბლიოთეკა აღჭურვილია ასლის გადასაღები მოწყობილობით.

ბიბლიოთეკაში განთავსებული მცირე რაოდენობის კომპიუტერი ვერ უზრუნველყოფს 120 სტუდენტისთვის საბიბლიოთეკო რესურსის ძებნის სისწრაფეს.
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული რესურსცენტრის ოთახი, რომელშიც მხოლოდ ერთეული კომპიუტერები იყო განთავსებული და რომელიც სივრცობრივად, მოსალოდნელია, რომ ვერ იქნება საკმარისი პროგრამით გათვალისწინებული მაქსიმალური კონტიგენტის - 120 სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, რეკომენდირებულია, რომ პროგრამის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტმა მოაწყოს სათანადო რაოდენობის კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორია, რომელიც რელევანტური და შესაბამისი იქნება პროგრამის მომავალ სტუდენტთა რაოდენობასთან.
საკონფერენციო დარბაზთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს დათვალიერებული სივრცე იყო ცარიელი. დაწესებულებამ განაცხადა, რომ სამომავლოდ აქ მოეწყობოდა საკონფერენციო დარბაზი. აღსანიშნავია, რომ შენობის ერთი ნაწილი გაქირავებული იყო კერძო კომპანიაზე, რომელმაც შენობა დატოვა და ექპერტის ვიზიტის დროს, მათ მიერ დატოვებული სივრცე ცარიელი იყო. უნივერსიტეტის განმარტებით, ამ სივრცეში უნდა განთავსებულიყო საკონფერენციო დარბაზები და დამატებითი აუდიტორიები.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ :
1. შეთავაზებული იქნას სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას;
2. გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები;
3. დაემატოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურას შიდა კორპორაციული კომუნიკაციის კურსი;
4. იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ სრულად აღიქვან ბიზნეს სტრუქტურებში პიარის კონტექსტი, სასწავლო პროგრამის შინაარსში შევიდეს მარკეტინგის კურსი (ალტერნატივები: სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი), რომელიც ასევე მოიცავს მარკეტინგული კვლევების კურსს;
5. რადგანაც სტუდენტების ერთი ნაწილი პრესცენტრებში იქნება დასაქმებული, მნიშვნელოვანია შინაარს დაემატოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი;
6. სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის 10. რაც ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა;
7. სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგძობადობა;
8. რადგანაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება;
9. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები;
10. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდირებულია „სტატისტიკური კვლევების“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული ქვიზებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება;

11. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების კუთხით ურთიერთობა დაამყაროს უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აქვთ სასწავლო პროგრამები, რათა მათი გამოცდილება გაიზიაროს და სტუდენტებს შეუქმნას საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა;
12. სტრატეგიული კომუნიკაცია სხვა ტრანსფერულ უნარებთან ერთად მოითხოვს კვლევის უნარის გამომუშავებას, შესაბამისად, სასწავლო კურსი "სტატისტიკური კვლევები" უნდა განისაზღვროს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსად;
13. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი და ფორმულირდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების ნაცვლად შემდეგნაირად „საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი“.

შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.5, 3.2, 4.2, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, 2.3, 2.4, 2.6, 3.1 და 4.3 მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.2 და 4.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ,,ალტერბრიჯი“ არის ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და პროგრამის გაუმჯობესებაზე. მან ასევე განმარტა, რომ ექპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების უმეტესობა უნივერსიტეტმა უკვე გაითვალისწინა და გარდა ამისა აღნიშნული შეტანილია როგორც, ერთწლიან, ასევე უნივერსიტეტის სამწლიან და შვიდწლიან განვითარების გეგმაში. ვინაიდან, პროგრამა ახალია და მას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინება მოხდება სასწავლო პროცესის პერიოდში, რადგან ის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია, მეტად თვალსაჩინო გახდება.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სავალდებულო საგნები შეირჩა იმ მნიშვნელოვანი საკითხებიდან გამომდინარე, რასაც დღეს ითხოვს ბაზარი. პროგრამიდან გამომდინარე ყურადღება ეთმობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკას. აღსანიშნავია უნივერსიტეტის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების დაგეგმვის კუთხით, შესაბამისად პროგრამის შემუშავებისას მაქსიმალურად მოხდა აღნიშნული გამოცილების გამოყენება.
სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიები სამ სასწავლო კურსში არის სრულად ინტეგრირებული აუცილებელი ფორმით. მარკეტინგული კვლევები და მისი ძირითადი კომპონენტები კი 7 სასწავლო კურსში არის ასახული. რაც შეეხება შიდა კომუნიკაციის საკითხებს, ის 5 ძირითად სასწავლო კურსში არის სრულად ინტეგრირებული. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ამ მოცემულ ეტაპზე შიდა კომუნიკაციების ცალკე საგნად გამოყოფის აუცილებლობასა და საჭიროებას ვერ ხედავს. რაც შეეხება მედია კომუნიკაციას, დაწესებულება არ არის ორიენტირებული მხოლოდ პრეს ცენტრებზე, თუმცა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი 4 სასწავლო კურსში არის მოცემული. ასევე პიარის დიჯიტალიზაციის პროცესი 8 სასწავლო კურსში არის ჩართული. ზოგადად უნივერსიტეტის მიდგომიდან გამომდინარე, ძირითადი სასწავლო კურსები უნდა მოიცავდეს ყველა იმ მიმართულებას, რას სჭირდება კომუნიკაციის სპეციალისტს, რომელიც სტრატეგიაზე იმუშავებს. თავისუფალ კომპონენტში მოცემულია ისეთი კურსები და საკითხები, რომლებიც სავალდებულო საგნებიდან მიღებული ცოდნის დარგთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

რეკომენდაციების იმ ნაწილს რაც გულისხმობს ახალი სასწავლო კურსების შემუშავებას, უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ პასუხს თავად პროგრამა იძლევა, რადგან მასში ყველა აუცილებელი სასწავლო კურსია მოცემული. პროგრამა შემუშავებულია საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისად, ახალი კურსების დამატება სასწავლო პროცესის სწავლის ხარისხის მექანიზმებით შემოწმების შემდეგ მოხდება.
რეკომენდაციებში ასევე საუბარი იყო ინტენაციონალიზაციის პროცესებზე. ამასთან დაკავშრებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწყებულია ორმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა დაწესებულებებთან და ასევე იგეგმებოდა მრავალი მემორანდუმის გაფორმება, რომელიც სამწუხაროდ პანდემიის გამო გადაიდო.
რაც შეეხება კვლევით პოტენციალს, უნივერსიტეტი ჯერ კიდევ ავტორიზებულ რეჟიმში აწარმოებდა გამოკითხვას სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან. საყურადღებოა, რომ დაწესებულებას აქვს თავისი კვლევითი ცენტრი, რომელიც მუშაობს იმაზე, რომ აწარმოოს გამოყენებითი კვლევები. ამჟამად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი 11 კვლევით პროექტზე მუშაობს, სადაც ასევე უნდა მოხდეს სტუდენტების ჩართვა. გარდა ამისა, კვლევითი ცენტრი თავის საქმიანობას აწარმოებს საერთაშორისო მიმართულებით სწორედ იმ საკითხებზე, რომლების გააძლიერებენ პერსონალის კვლევით საქმიანობასა და ინტერესებს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ელექტრონული ჟურნალი და ასევე ახლო მომავალში გეგმავს არა ერთ კონფერენციას.
რაც შეეხება რეკომენდაციას ლიტერატურასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ეს არის მუდმივად განახლებადი პროცესი. სტრატეგიულ კომუნიკაციები საკამოდ პრაქტიკული სფეროა, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება. უახლესი გამოწვევა ამ სფეროსი არის ის, რომ უნდა შეიცვალოს ფუნდამენტური კვლევების მიდგომები. შესაბამისად, უნივერსიტეტი მზად არის მაქსიმალურად აუწყოს ფეხი აღნიშნულ ცვლილებებს და ჩართოს ისინი პროგრამაში.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები

სხდომის თავჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ მოითხოვა ინფორმაციის დაზუსტება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე ოფისში მუშაობა იყო შეწყვეტილი და ხდებოდა მხოლოდ სადეზინფექციო სამუშაოების გატარება. შესაბამისად დაწესებულების აღჭურვა მოხდა მხოლოდ იმ კუთხით, რაც საჭირო იყო აკრედიტაციის შეხვედრების ორგანიზებისთვის. პანდემიის გამოცხადებისთანავე, უნივერსიტეტმა ტექნიკურად უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პანდემიის პერიოდში რექტორის ბრძანების საფუძველზე გადასცა 12 თანამშრომელს. შესაბამისად ვიზიტის დროს ადგილზე მხოლოდ 28 კომპიუტერი იყო, ისიც სხვადსხვა ლოკაციაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა აღნიშნული კომპიუტერები პროგრამულ დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პანდემიის განმავლობაში უნივერსიტეტი იყო დახურული, შესაბამისად საკონფერენციო დარბაზებში არსებული აუცილებელი აპარატურა სხვადსხვა ლოკაციებზე იქნა გადანაწილებული და შენახული. თუმცა მნიშვნელოვანია ინვენტარიზაციის აქტში მოცემულია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი იმისთვის, რომ მოხდეს სასწავლო პროცესის გამართულად დაწყება. უნივერსიტეტსა და დამფუძნებელ ორგანიზაციას შორის არის ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს ორგანიზაციას უზრუნველყოს ,,ალტერბრიჯი“ იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც მას სჭირდება სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის. უნივერსიტეტი ასევე მზადა სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად უზრუნველყოს დაწესებულების აუცილებელი რესურსებით აღჭურვა.

საბჭოს წევრმა დაზუსტა უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერების საკითხი, კერძოდ რა მიზნით მოხდა უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის კომპიუტერების გადაცემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო ოთახში არსებული კომპიუტერების გადატანილი იქნა ადმინისტრაციის კაბინეტში, რათა მეტად მობილური ყოფილიყო მუშაობა და აუცილებლობის შემთხვევაში პერსონალს ჰქონოდა შესაძლებლობა საქმიანობა ადგილზე განეხორციელებინა. 28 კომპიუტერი უნივერსიტეტში გადანაწილებული იყო სხვადსხვა ლოკაციებზე , ხოლო 12 კი ადმინისტრაციის ოთახში.
საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მყოფი პედაგოგების უმეტესობა არის თავად მაგისტრები. აქედან გამომდინარე, მნიშნელოვანია გაუჭირდებათ თუ არა მაგისტრებს ნაშრომის ხელმძღვანელობა. ხაზგასასმელია ის, თუ რამდენად აქვს პერსონალს გამოცდილება მოცემულ საკითხებში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ის ფაქტი, რომ აფილირებული პროფესორების ნაწილი მაგისტრები არიან, გამოწვეულია იმ პრობლემით, რაც ზოგადად დარგთან მიმართებაში არის პრობლემა უმაღლესი აკადემიური საფეხურის განათლების მქონე პერსონალის მოძიებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით უნივერსიტეტს დაემატა ორი აფილირებული პროფესორი დოქტორის ხარისხით. რაც შეეხება მიდგომას, საკმაოდ მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. სწორედ ამიტომ მაგისტრებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს შეუძლიათ მოიწვიონ ნებისმიერი უნივერსიტეტიდან პროფესორი/დოქტორი, რომელიც გახდება მათი თემის ხელმძღვანელი, ხოლო უნივერსიტეტი თავის თავად მზად არის უზრუნველყოს აღნიშნული პროცესი.
საბჭოს წევრმა ზურაბ ორჯონიკიძემ დააზუსტა, თუ როგორ მოერგო უნივერსიტეტი თანამედროვე გამოწვევებს ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ყველასთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. უნივერსიტეტი ონლაინ სწავლებაზე გადავიდა სატრენინგო ფორმატის გათვალისწინებით. დაწესებულების მხრიდან პროცესის ათვისება საკმაოდ მარტივად მოხდა. უნივერსიტეტმა შეიძინა სპეციალური ლიცენზირებული პლატფორმა, რომლის გამოყენება და ინტეგრირებაც მოხდება სასწავლო პროცესის დაწყებისას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო:15:15

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლითა და 8 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 1

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა :
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება. კერძოდ, მე-2 და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) შეთავაზებული იქნას სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას;
ბ) გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები;
გ) დაემატოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურას შიდა კორპორაციული კომუნიკაციის კურსი;
დ) იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ სრულად აღიქვან ბიზნეს სტრუქტურებში პიარის კონტექსტი, სასწავლო პროგრამის შინაარსში შევიდეს მარკეტინგის კურსი (ალტერნატივები: სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი), რომელიც ასევე მოიცავს მარკეტინგული კვლევების კურსს;
ე) რადგანაც სტუდენტების ერთი ნაწილი პრესცენტრებში იქნება დასაქმებული, მნიშვნელოვანია შინაარს დაემატოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი;
ვ) სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის 10. რაც ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა;
ზ) სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგძობადობა;
თ) რადგანაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება;
ი) მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები;
კ) სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდირებულია „სტატისტიკური კვლევების“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული ქვიზებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება;
ლ) მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების კუთხით ურთიერთობა დაამყაროს უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აქვთ სასწავლო პროგრამები, რათა მათი გამოცდილება გაიზიაროს და სტუდენტებს შეუქმნას საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა;
მ) სტრატეგიული კომუნიკაცია სხვა ტრანსფერულ უნარებთან ერთად მოითხოვს კვლევის უნარის გამომუშავებას, შესაბამისად, სასწავლო კურსი "სტატისტიკური კვლევები" უნდა განისაზღვროს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსად;
ნ) მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი და ფორმულირდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების ნაცვლად შემდეგნაირად „საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი“.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3^2 პუნ ქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლითა და 8 თვის ვადით.

2. მეორე საკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 20 ნოემბრის N688 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300/305
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, ჩარგლის ქუჩა N73, სასწავლო კორპუსი N1
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა - ნიკოლოზ კიკნაძემ
საფუძველი- ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 12 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ მათ

გადაეცათ ადგილზე და ასევე, ელექტრონული ფოსტით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ინტერვიუს უმეტესი ნაწილი (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან), ქვეყანაში არსებული ეპიდვითარება გამომდინარე ჩატარდა ZOOM-ის აპლიკაციის პლატფორმით.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.4, 3.1, 4.1, 4.2, 4.4, 4.4, 5.1, 5.2, და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.3, 2.5, და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, გასწორდეს კურსის შინაარსი - არ მოხდეს უკვე გავლილი მასალის ხელმეორედ შესწავლა და შეფასება;
2. გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად - ჩანდეს რომელი კომპეტენციის შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულების მიხედვით გადანაწილებული.
3. გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. კლინიკური სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, პაციენტებთან მუშაობის დროს. დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით, ასევე რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯგუფმა გაიზიარა მოწვეული გარე ექსპერტის შეფასება პროგრამასთან დაკავშირებით. კერძოდ, გარე ექსპერტის მიერ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7 წლიან და 3 წლიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში, აისახა უნივერსიტეტის ბიუჯეტში პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. სამოქმედო გეგმაში აისახა პროგრამის განვითარებითვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი. აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით განაწილდა პასუხისმგებლობები.
პირველ სტანდარტში „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, პირველ რიგში აისახა საგანმანათლებლო პროგრამის, მისი მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. გაანალიზდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ლოგიკური ჯაჭვი.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ აისახა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, პროგრამის სტრუქტურაში, შინაარსში, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და სტუდენტთა შეფასების მექანიზმებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის ძირითადი პრინციპების

დაცვითაც მომზადდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა. შეფასდა პროგრამის სტრუქტურა, რომელშიც სასწავლო კურსების განლაგება თანმიმდევრული და ლოგიკურია და ასეთი სტრუქტურა ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია გადამოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალას, რომელიც დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე (თანამედროვე სახელმძღვანელოები, უახლესი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები), უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.
მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია „სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესი“. ფაკულტეტი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სერვისს, რაც მათ სწავლის პროცესში უწყობს ხელს. ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.
მე-4 სტანდარტთან მიმართებაში „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, დღეისათვის პროგრამას ყავს შესაბამისი ადამიანური და აქვს შესაბამისი მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის მდგრადი განვითარება და განსაზღვრული მიზნების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში უნივერსიტეტმა შექმნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. მუდმივად ხდება აკადემიური პერსონალის მოზიდვა და პროფესორთა შემადგენლობის გაძლიერება, პრაქტიკოსი სპეციალისტებით. უნივერსიტეტი ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე.
მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“ აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ისე როგორც სხვა მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, მუდმივად განახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. ამ პროცესში ჩართულია: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ფორმების მეშვეობით, სისტემატურად ხდება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისაკენ

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ დააზუსტა, თუ როგორ ხდება უნივერსიტეტის მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების შემოწმება, განსაკუთებით მაშინ, როდესაც არ გამოიყენება OSCE

შეფასების სისტემა. ასევე მან განმარტა, რომ პროგრამის სწავლის მეთოდებში მოცემულია PBL, რაც საბაზისო სწავლების დონეზე გამოყენება და კლინიკური მეცადინეობის დროს ნაკლებად რელევანტურია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ კლინიკური კურსის ყველა სილაბუსში გაწერილია პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც სტუდენტს ენიჭება 1 ქულა, შესაბამისად სტუდენტების პრაქტიკულად შესასრულებელი დავალება ფასდება ყოველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე. სწორედ ამ მიდგომით ხდება სტუდენტების შეფასება პრაქტიკულ ნაწილში. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს OSCE შეფასების სისტემის დაგეგმვას.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ მიმართა ექსპერტებს და დააზუსტა დასკვნაში ასახული ინფორმაცია, კერძოდ, 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ზოგიერთი სპეციალობის სილაბუსში, მითითებულია ისეთი მეთოდებით მუშაობა, რომლის ნახვაც ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა, აღნიშნული აიხსნება იმით, რომ მოცემული მეთოდები და საშუალებები ისწავლება თეორიულად, რაც სილაბუსშიც უნდა დაკონკრეტდეს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად მისაღები იქნება აღნიშნული საგნების პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე თეორიულად სწავლება.
ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსში მოცემული იყო ამალგატორი და ენდომეტორები, რომლებიც ამჟამად აღარ გამოიყენება. ენდომეტერებით მკურნალობა სტუდენტობის პერიოდში არ არის სავალდებულო, შესაბამისად დაწესებულება შედეგზე აღნიშნული მეთოდები გარეშეც შეიძლება გავიდეს. ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექპერტებმა მოითხოვეს ამალგატორები და ენდომეტორები, რომელიც დაწესებულებაში არ აღმოჩნდა.
ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულია სამედიცინო ხარისხის განვითარების გლობალური სტანდარტები, აქედან გამომდინარე მან დააზუსტა თუ კონკრეტულად რომელი ასპექტები იქნა გამოყენებული პროგრამაზე მუშაობისას. გარდა ამისა ის დაინტერესდა თუ რის საფუძველზე მოხდა პროგრამაში ცვლილებების განხორციელება და როგორია პროგრამის აგებულება, გარდა პრე-კლინიკური და კლინიკური კურსებისა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გლობალური სტანდარტების გამოყენება და გათვალიწინება მოხდა საბაზისო სასწავლო კურსებთან მიმართებით. რაც შეეხება ცვლილებებს, მათი საფუძველი გახდა 2018 წელს უცხოენოვანი პროგრამის მომზადება. მაქსიმალურად მოხდა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა და აითვისა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამის შემუშავებაში ასევე ჩართულნი არიან დამსაქმებლები, საკმაოდ მსხვილი კლინიკების ხელმძღვანელები, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან როგორც განმახორციელებელი პროფესორები.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, პროგრამაზე მიღების წინაპირობებისა და უცხო ენების სწავლების საკითხი.
მოცემულ საკითხთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის აბიტურიენტები, რომლებიც უცხო ენის სახით ჩააბარებენ ინგლისურს, საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში აღნიშნულ საგანს ისწავლის 4 სემესტრის განმავლობაში, კერძოდ პირველ და მე-2 სემესტრში გრამატიკასა და ლექსიკას, ხოლო მე-3 მე-4 სემესტრებში პროფესიულ ინგლისურს. რაც შეეხება იმ აბიტურიენტებს, რომლების ჩააბარებენ სხვა უცხო ენას მათვის პროგრამის მიხედვით განსხვავებული სილაბუსია გათვალისწინებული, კერძოდ ისისნი ინგლისურ ენას ისწავლიან 5 სემესტრის განმავლობაში.
საბჭოს წევრმა რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ მოცემულ სფეროში ქართულენოვანი ლიტერატურა საკამოდ მცირე და მოძველებულია, რადგან რეალურად არ არსებობს სახელმძღვანელოები. თუ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისური ენის მაღალ დონეზე სწავლებას, სრულიად შესაძლებელია მაღალი კურსების სილაბუსებში აუცილებლი ლიტერატურის სახით დაემატოს ინგლისურენოვანი უახლესი სახელმძღვანელოები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ქართველი სტუდენტებისთვის მაინც სირთულეს წარმოადგენს უცხოური ლიტერატურის გაგება და ათვისება, მაგრამ ამის მიუხედავად უნივერსიტეტი მაინც გამოხატავს უცხოური ლიტერატურის პროგრამაში დანერგვის მზაობას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინება.
საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ ასევე რჩევის სახით განმარტა, რომ ბევრ კლინიკურ საგანში, როგორიცაა, ,,ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები", ,,დერტმატოლოგია", ,,ალერგოლოგია", ,,სამედიცინო რადიოლოგია სტომატოლოგებისთვის", არ არის მოცემული სტომატოლოგებისთვის სპეციფიკური თემატიკა. აღნიშნული სილაბუსები მედიცინის პროგრამიდან არის, თუმცა მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს სტომატოლოგებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ან მოხდეს სათაურის ცვლილება.
საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ,,ლაბორატორიული მედიცინის" სილაბუსზე და დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტი ირიცხება აღნიშნული საგნის ჯგუფში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კლინიკურ საგნებში, ჯგუფში ირიცხება 7-10 სტუდენტი, რომლების პრაქტიკულ მუშაობებს ახორციელებენ ლაბორატორიებში.
ეკა ეკალაძემ ასევე აღნიშნა, რომ ინვაზიური პროცესების შესახებ საუბარია პროგრამის შედეგებში, მაგრამ თავად სილაბუსის შინაარსში არ არის მოცემული, შესაბამისად რეკომენდირებულია აღნიშნული საკითხის დაზუსტება და დაკორექტირება. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსის შინაარსი შესაბამისობაში მოდიოდეს შედეგებთან.
საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ასევე პროგრამის მე-10 შედეგზე, რომელსაც წარმოადგენს ,,ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება", ასევე ჩამოთვლილია შეფასების კრიტერიუმები. შეფასებასთან მიმართებით გაწერილია, რომ სტუდენტი ფასდება ყველა კლინიკურ საგანში სიტუაციური ამოცანის ამოხსნით, ღია და დახურული ტესტებით და პრეზენტაციის საშუალებით. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების მეთოდები გამოყენება სწავლის შედეგების მისაღწევად, შესაბამისად უმჯობესი იქნება დაიხვეწოს შეფასების სისტემა და სხვა მეთოდები იქნას გამოყენებული, რათა მოხდეს შედეგების რელევანტურად შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაქსიმალურად მოხდება აღნიშნული რჩევებისა და რეკომენდაციების გამოყენება და პროგრამაში ჩართვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო:16:50

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, გასწორდეს კურსის შინაარსი - არ მოხდეს უკვე გავლილი მასალის ხელმეორედ შესწავლა და შეფასება;
ბ) გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად - ჩანდეს რომელი კომპეტენციის შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული;
გ) გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. კლინიკური სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, პაციენტებთან მუშაობის დროს. დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით, ასევე რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის.
დ) გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთებით კლინიკურ და პრე-კლინიკურ სასწავლო კურსებთან მიმართებით;
ე) პროგრამის შინაარსი და მისი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან;
ვ) საგნებთან მიმართებით მეტი აქცენტი გაკეთდეს სტომატოლოგიისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხის განხილვა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	--
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #195; 05.11.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	----

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი) ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ტექნიკური პრობლემის გამო, საბჭოს სხდომას ვერ დაესწრო აკრედიტაციის ექსპერტი, რომელმაც შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში. ამიტომ საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზით განხილვა გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის და შეამდგომლობა დააყენეს, რომ სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრს უზრუნველყო საკითხის განხილვაში ექსპერტის მონაწილეობა.

აღნიშნილ საკითხს ერთხმად დაერთანხმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი, რის შემდეგაც 17:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა